პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2026 წლის —— აპრილი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

„ქალაქ ბათუმში, ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში (ს/კ 05.24.04.289) არსებული მონაკვეთისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 სექტემბრის №15.15252694 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 59-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „ქალაქ ბათუმში, ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში (ს/კ 05.24.04.289) არსებული მონაკვეთისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 სექტემბრის №15.15252694 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ბათუმში, ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში არსებული მონაკვეთისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ბათუმში, ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში არსებულ მონაკვეთს (შალვა ინასარიძის დაბადებიდან 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით) მიენიჭოს სკვერის სტატუსი და ეწოდოს შალვა ინასარიძის სკვერის სახელი.“.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინამდებარე განკარგულების თანახმად, განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში (ს/კ 05.24.04.289) არსებული მონაკვეთისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 სექტემბრის №15.15252694 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ოქტომბერს № 245048 (საკრებულოს ნომრით **04-15253022-15**) განცხადებით მომართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და მოითხოვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 სექტემბრის N15. 15252694 განკარგულებაში (რომლის საფუძველზე, ქალაქ ბათუმში არსებულ სკვერს მიენიჭა შალვა ინასარიძის სკვერის სახელი) ტექნიკური შეცდომის გასწორება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „ქალაქ ბათუმში, ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში (ს/კ 05.24.04.289) არსებული მონაკვეთისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 სექტემბრის №15.15252694 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ბათუმში, ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში არსებული მონაკვეთისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე შალვა ინასარიძის სახელის მინიჭების თაობაზე“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ბათუმში, ინასარიძის და კობალაძის ქუჩების კვეთაში არსებულ მონაკვეთს (შალვა ინასარიძის დაბადებიდან 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით) მიენიჭოს სკვერის სტატუსი და ეწოდოს შალვა ინასარიძის სკვერის სახელი.“

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,

ტურიზმისა და სპორტის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე **ჯაბა ჭანტურია**